გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №8

8 ივლისი, 2010 წ. ქ. გურჯაანი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ალ. სირბილაშვილი.

ესწრებოდნენ: ხ. ჭონიაშვილი, დ. ბეჟაშვილი, ვ. ელიზბარაშვილი, გ. ენუქიძე, ლ. გაბიტაშვილი, ალ. შანყულაშვილი, ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე, ივ. ნატროშვილი, პ. ჯოხაძე, კ. ნაპირელი, ე. ბოკუჩავა, მ. ძამუკაშვილი, ი. ჩიტაშვილი, მ. მუღალაშვილი, ზ. მინდორაშვილი, რ. არდაზიშვილი, ზ. დოიაშვილი, ალ. ინანაშვილი, ალ. ზირაქაშვილი, ვ. მამისაშვილი, მ. ჩიბარაშვილი.

მოწვეული სტუმრები: გ. პეტრუზაშვილი – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
ნ. ქაჩლიშვილი – გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.
/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნაბართვის შემოღების, ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.
/ივ. ნატრიშვილი/
/გ. პეტრუზაშვილი/

4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „გურჯაანის მომავლისათვის“ თავმჯდომარის გადადგომის შესახებ.
/ზ. მინდორაშვილი/

5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების – ნ. ბახლიშვილისა და დ. ბეჟაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
/ზ. მინდორაშვილი/

6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.
/ივ. ნატროშვილი/

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების სანიაღვრე მეურნეობის და წყლის ქსელების მომსახურების“ დირექტორის დანიშვნის შესახებ.

/დ. გოგებაშვილი/

8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობათა დამტკიცების შესახებ.

/დ. გოგებაშვილი/

9. ს. ძირკოკის მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, სოფლის ერთ-ერთი ქუჩისთვის სოსო მახარაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

/დ. გოგებაშვილი/

10. სხვადასხვა.

ალ. სირბილაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ გამგეობიდან შემოსულია საქ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისა და მოქალაქე ბიჭიკო კალაძის მომართვები, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ დღის წესრიგს დაემატება კიდევ 1 საკითხი – საქ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისთვის ქ. გურჯაანში, სანაპიროს ქუჩაზე 500 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის აღნაგობით გადაცემაზე ნებართვის მიცემის შესახებ.

მ. ჩიბარაშვილმა დააყენა ს. ჭერმის საკითხი და აღნიშნა, რომ გადასაწყვეტია ძირ-ძველი სოფლის, ჭერმის ყოფნა-არყოფნის საკითხი. მოითხოვა, სოფელში არსებული გენერატორისთვის ლიმიტირებული ოდენობის საწვავის გამოყოფა და სოფლისთვის სამედიცინო მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

– ალ. სირბილაშვილმა აღნიშნულის შესახებ უპასუხა, რომ ს. ჭერმის პრობლემა დღევანდელ სესიაზე ვერ განიხილება, მაგრამ უახლოეს სესიაზე იქნება მის პრობლემებზე მსჯელობა. აქვე მან სთხოვა შესაბამის სამსახურს, შესაძლებლობის ფარგლებში, მოხდეს რაიმე თანხების მოძიება.

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

სხდომამ იმუშაოს წარმოდგენილი დღის წესრიგით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით. /მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კ. ნაპირელმა წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ (თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზვრა 8486,7 ათასი ლარით.

გ. პეტრუზაშვილმა აღნიშნა, გამოყოფილი თანხით (რამაც ბიუჯეტში ცვლილება გამოიწვია) 5 სოფლის სათავე და 2 სოფლის სასმელი წყლის მილების რეაბილიტაცია მოხდება.

აქვე დასძინა მან, რომ ჯანდაცვის სფეროში, სოც. პაკეტში გათვალისწინებული თანხებიდან – მიმართულება იქითაა აღებული, რომ სოციალურად დაუცველი პირების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება მოხდეს.

ნ. მურაკაშვილმა აღნიშნა, რომ ის პროექტის გაცნობის პროცესშია, მაგრამ მიაჩნია, რომ უკეთესი იქნება, თუ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისთვის გამოყოფილი თანხების ნაწილი ჯანდაცვის სფეროს დაემატება.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კ. ნაპირელმა წარმოადგინა პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

კენჭი უყარეს:
დაადგინეს:
შეტანილ იქნას ცვლილება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულ დანართ №3-ში (დანართი თან ერთვის). /მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნაბართვის შემოღების, ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.

ივ. ნატროშვილმა წარმოადგინა პროექტი.
აზრი გამოთქვეს:
ალ. სირბილაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტში მითითებული, ყოველთვიური საიჯარო გადასახადის ოდენობა და ვადა გარე რეკლამის განთავსების ნებართვაზე, მიაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს. კერძოდ, გადასახადის ოდენობა შემცირდეს 7 ლარამდე და განთავსების ნებართვის ვადა კი განისაზღვროს არაუმეტეს 3 წლისა.

ალ. სირბილაშვილის წინადადებას დაეთანხმნენ საკრებულოს სხვა წევრებიც.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნაბართვის შემოღების, ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.
/მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „გურჯაანის მომავლისათვის“ თავმჯდომარის გადადგომის შესახებ.

ზ. მინდორაშვილმა სხდომაზე დამსწრეთ მოახსენა, რომ საკრებულოს ფრაქციის „გურჯაანის მომავლისათვის“ თავმჯდომარე, დავით ბეჟაშვილი დანიშნულ იქნა მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე, რის გამოც ვადამდე უნდა შეუწყდეს ფრაქციის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

კენჭისყრის შედეგად,
დაადგინეს:
ვადამდე შეუწყდეს ფრაქცია „გურჯაანის მომავლისათვის“ თავმჯდომარის უფლებამოსილება დავით ბეჟაშვილს.

მოისმინეს:
5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების – ნ. ბახლიშვილისა და დ. ბეჟაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

ზ. მინდორაშვილმა სხდომაზე დამსწრეთ მოახსენა, რომ ისევე როგორც დავით ბეჟაშვილს, გამგებლის მოადგილედ დანიშვნის გამო, ასევე, ს. ველისციხის მაჟორიტარი, ნოდარ ბახლიშვილი დანიშნულ იქნა მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად, რის გამოც ვადამდე უნდა შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

კენჭი უყარე,
დაადგინეს:
ვადამდე შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, დავით ბეჟაშვილსა და საკრებულოს წევრს, ს. ველისციხის მაჟორიტარს, ნოდარ ბახლიშვილს.

მოისმინეს:
6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

ივ. ნატროშვილმა წარმოადგინა პროექტი (თან ერთვის).

გამომდინარე იქიდან, რომ საკრებულოს წევრებს არ ჰქონდათ შესწავლილი და ვერ ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას პროექტში წარმოდგენილ მიწის ფართობებზე, მოითხოვეს, აღნიშნული საკითხის განხილვა მომავალ სესიაზე.

კენჭი უყარეს პროექტში წარემოდგენილი მილების პრივატიზების საკითხს და
დაადგინეს:
შეტანილ იქნას საპრივატიზაციო ნუსხაში ს. მელაანში, მიწის ქვეშ გამავალი მილი – დ. 1400, 800 გრ.მ და მილსადენი (დიუკერის) 780 გრ. დაფარვის ზონა ს. მუკუზანი. /მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების სანიაღვრე მეურნეობის და წყლის ქსელების მომსახურების“ დირექტორის დანიშვნის შესახებ.

ზ. მინდორაშვილმა მოახსენა საკრებულოს წევრებს, რომ მას შემდეგ, რაც ცნობილ იქნა ალექსანდრე ზირაქაშვილის, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, იგი გათავისუფლდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების სანიაღვრე მეურნეობის და წყლის ქსელების მომსახურების“ დირექტორის თანამდებობიდან.

დ. გოგებაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო გამგებლის მომართვა, რომლის თანახმადაც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების სანიაღვრე მეურნეობის და წყლის ქსელების მომსახურების“ წესდების მე-3

მუხლის 3.2. პუნქტის საფუძველზე, წარმოადგინეს აღნიშნული სამსახურის დირექტორის კანდიდატურა – ალექსანდრე შავგულიძე.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
– გათავისუფლდეს მ/წ 30 ივნისიდან ალექსანდრე ზირაქაშვილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების სანიაღვრე მეურნეობის და წყლის ქსელების მომსახურების“ დირექტორის თანამდებობიდან.
– დაინიშნოს ალექსანდრე შავგულიძე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების სანიაღვრე მეურნეობის და წყლის ქსელების მომსახურების“ დირექტორის თანამდებობაზე და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.
/მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
8. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობათა დამტკიცების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარეებმა სხდომაზე წარმოადგიმეს კომისიის პერსონალური შემადგენლობები.

კენჭისყრის შედეგად, ერთხმად
დაადგინეს:
– დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

1. კოტე ნაპირელი – თავმჯდომარე
2. მალხაზ ძამუკაშვილი – მოადგილე
3. ალექსანდრე ინანაშვილი
4. ალექსი შანყულაშვილი
5. ივანე ნატროშვილი
6. გიორგი ენუქიძე
7. შმაგი გაბახაძე
8. პაატა ჯოხაძე
9. ნოდარ ღლიღვაშვილი.

– დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო და საპროცედურო კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

1. ზურაბ მინდორაშვილი – თავმჯდომარე
2. რამან არდაზიშვილი – მოადგილე
3. პაატა გველუკაშვილი
4. მალხაზ ძამუკაშვილი
5. დათო ლიპარტაშვილი
6. ზაქარია დოიაშვილი
7. მიხეილ მუღალაშვილი
8. ზურაბ მახარობლიშვილი
9. ბესიკ ზირაქაშვილი

– დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

1. გიორგი ენუქიძე – თავმჯდომარე
2. მიხეილ ჩიბარაშვილი – მოადგილე
3. ხათუნა ჭონიაშვილი
4. ლალი გაბიტაშვილი
5. ნინო მურაკაშვილი
6. ვანო ელიზბარაშვილი
7. დათო ლიპარტაშვილი
8. პაატა ჯოხაძე
9. ავთანდილ ზარდიაშვილი

– დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

1. ვაჟა მამისაშვილი – თავმჯდომარე
2. ზურაბ ბადრიაშვილი – მოადგილე
3. ალექსანდრე ინანაშვილი
4. ალექსანდრე ზირაქაშვილი
5. ივანე ნატროშვილი
6. ავთანდილ ზარდიაშვილი
7. რამან არდაზიშვილი
8. ნოდარ ღლიღვაშვილი
9. შმაგი გაბახაძე.

– დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის შემდეგი შემადგენლობა:

1. ივანე ნატროშვილი – თავმჯდომარე
2. გურამ ბერიკაშვილი – მოადგილე
3. ნინო მურაკაშვილი
4. ალექსანდრე ზირაქაშვილი
5. ზურაბ მინდორაშვილი
6. ვაჟა მამისაშვილი
7. ერისტო ბოკუჩავა
8. ზურაბ ბადრიაშვილი
9. კოტე ნაპირელი

მოისმინეს:

9. ს. ძირკოკის მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, სოფლის ერთ-ერთი ქუჩისთვის სოსო მახარაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

დ. გოგებაშვილმა სხდომაზე დამსწრეთ გააცნო ს. ძირკოკის მცხოვრებთა განცხადება, რომლებიც მოითხოვენ ერთ-ერთი ქუჩისთვის, ამავე სოფლის მკვიდრის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, სოსო მახარაშვილის სახელის მინიჭებას.

კენჭისყრის შედეგად ერთხმად

დაადგინეს:

დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ს. ძირკოკში მდებარე ქუჩისთვის სოსო მახარაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე.

მოისმინეს:

10. საქ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურისთვის ქ. გურჯაანში, სანაპიროს ქუჩაზე 500 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გაცემაზე ნებართვის მიცემის შესახებ.

დ. გოგებაშვილმა წარმოადგინა გამგებლის მომართვა და თანდართული დოკუმენტაცია.

კენჭი უყარეს

დაადგინეს:

ნება დაერთოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ზ. იაგანაშვილს, რომ უსასყიდლო აღნაგობის უიფლებით გადასცეს საქ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურს ქ. გურჯაანში, სანაპიროს ქუჩაზე 500 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. /მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ
თავმჯდომარის მოადგილე **ალექსანდრე სირბილაშვილი**